ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2023 წლის 21 მარტის სხდომის

ოქმი #4

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2023 წლის 21 მარტს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 29 წევრი, სხდომას ესწრებოდა 22 წევრი. სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი ვაჟა ტრაპაიძე, გეოლოგიის დეპარტამენტის უფროსი, ასოცირებული პროფესორი გურამ ქუთელია, ასოცირებული პროფესორი ნ.გაჩეჩილაძე, ფაკულტეტის კანცელარიის უფროსი შ.ჩუბინიძე. სხდომაზე მოწვეული იყო თსუ იურიდიული დეპარეტამენტის უფროსი ა.კუკულავა.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი:

1. უნივერსიტეტის შინაგანაწესში ცვლილებების შეტანის შესახებ;
2. მიმდინარე საკითხები.

1. **მოისმინეს:** ინფორმაცია დღის წესრიგის პირველი საკითხის - უნივერსიტეტის შინაგანაწესში ცვლილებების შეტანის შესახებ. რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ერთობლივი წერილი (N 6756/10, 15/03/2023) ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებ“-ში შესატან ცვლილებების შესახებ (იხ. დანართი 1) საბჭოს წევრების წინაშე განსახილველად და შესათანხმებლად გამოიტანა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ბატონმა რამაზ ხომერიკმა. წერილი გასაცნობად წინასწარ დაეგზავნა ფაკულტეტის პერსონალს, რასაც ელექტრონული ფოსტის მეშვეობით აქტიური გამოხმაურება მოჰყვა. განხილვა განსაკუთრებით იმ ცვლილებას შეეხო, რომელიც ლაბორატორიების ისედაც დაბალანაზღაურებად პერსონალს დამატებითი ანაზღაურების სანაცვლოდ მუშაობას უზღუდავდა.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა დ.კერესელიძემ, ა.შენგელიამ, მ.ხაჩიძემ, ნ.შათშვილმა. პროფ. ი.ჩიკვაიძემ აღნიშნა, რომ ცვლილებების გაცნობის შემდეგ ქიმიის დეპარტამენტის თანამშრომლებმა იმსჯელეს და მუხლობრივად განიხილეს ყველა საკითხი (იხ. დანართი 1.2). სხდომაზე ერთხმად გადაწყდა, რომ ქიმიის დეპარტამენტის თანამშრომლები არ ეთანხმებიან წარმოდგენილ თსუ შინაგანაწესში შესატან იმ ცვლილებებს, რომელიც სასწავლი-სამეცნიერო ლაბორატორიების თანამშრომლებს ეხება, სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე. პროფ. დ.ძიძიგურმა ისაუბრა, თუ როგორ მოაგვარეს ანალოგიური საკითხი წინა წლებში ასეთი ლაბორანტების შაბათს მუშაობის ხარჯზე. პროფ. ა.შენგელაიამ დამატებითი განმარტება მოითხოვა, ხოლო პროფ. ნ.შათაშვილმა აღნიშნა, რომ ამ ცვლილებების გატარება შეუძლებელი იქნება ისე, რომ ფაკულტეტმა ღირებული კადრები არ დაკარგოს.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრების შესთავაზა ცვლილება მე-5 მუხლის მე-11 პუნქტთან დაკავშირებით. პროფესორებმა ნ.შათაშვილმა და ა.შენგელაიამ წარმოადგინეს ტექსტი დადგენილებისთვის, თუმცა ტექსტის დაზუსტებაში საბჭოს ყველა წევრმა მიიღო მონაწილეობა.

საკითხის ირგვლივ დამატებითი განმარტების მიცემის მიზნით ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ბატონმა რ.ხომერიკმა სხდომაზე მოიწვია თსუ იურიდიული დეპარტამენტის უფროსი ბატონი ა.კუკულავა. ბატონი არჩილის მოსვლა ნაყოფიერი გამოდგა. მან ნათელი მოჰფინა მთელ რიგ საკითხებს. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ ა.კუკულავას სთხოვა აზრი გამოეთქვა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ სასწავლო-სამეცნიერო პროცესში ჩართული ლაბორანტების გადაყვანა გვსურს ისეთსავე რეჟიმში, როგორიც აკადემიურ პერსონალს აქვთ. როგორც ბატონმა არჩილმა აღნიშნა, უნდა გამოიყოს ასეთი პერსონალი თავისი სპეციფიკით, ამასთან მათთვის მოხდეს აღნიშნული მოთხოვნის დასაბუთება.

აზრი გამოთქვეს პროფესორებმა დ.ძიძიგურმა, ნ.გაჩეჩილაძემ, ო.ფურთუხიამ. მათი მოთხოვნით ა.კუკულავამ კიდევ ერთი განმარტება გააკეთა მე-5 მუხლის მე-10 პუნქტთან დაკავშირებით. კერძოდ, აღნიშნა, რომ ცვლილებებში ასახული შეზღუდვები ეხება მხოლოდ იმ დროს, როცა პერსონალი ძირითად სამსახურში უნდა იყოს მისთვის დაწესებული განრიგის შესაბამისად. მან ასევე ისაუბრა არსებული შინაგანაწესის სხვა საკითხებზეც.

საბჭოს თავმჯდომარემ ღია კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შინაგანაწესის მე–5–ე მუხლის პუნქტების ცვლილებებთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგები: საკითხი დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის საბჭო, განიხილა რა დაგეგმილი ცვლილებები უნივერსიტეტის შინაგანაწესში, მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი მიდგომა მე–5–ე მუხლის ცვლილებებისათვის მიუღებელია ფაკულტეტის დარგებისათვის, რადგანაც მათი განხორციელება გამოიწვევს ღირებული კვალიფიციური კადრების გადინებას უნივერსიტეტიდან, მათი შევსება ვეღარ მოხდება ახალგაზრდა პერსპექტიული კადრებით და შედეგად მნიშვნელოვნად შეფერხდება ფაკულტეტზე აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობა. საბოლოოდ კი, ეს სერიოზულ ზიანს მიაყენებს ფაკულტეტის განვითარებას და დრამატულად იმოქმედებს უნივერსიტეტის საერთაშორისო რეიტინგზე. ამიტომ საჭიროდ ვთვლით **მე-5 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის პუნქტი:**

ფაკულტეტების სპეციფიკიდან გამომდინარე ფაკულტეტზე დასაქმებული დამხმარე პერსონალისთვის (სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიებში დასაქმებული პერსონალი) სამუშაო დრო განისაზღვროს ფაკულტეტის დეკანის მიერ პერსონალთან და ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებთან შეთანხმებული სამუშაო გრაფიკით. აღნიშნული პერსონალი ვალდებულია დაიცვას შეთანხმებული სამუშაო გრაფიკი.

2. დღის წესრიგის მეორე - მიმდინარე საკითხებში განხილული იყო:

ა) SMART|AtmoSim ლაბორატორიისათვის პირვანდელი ოთახის დაბრუნების შესახებ;

ბ) მიმართვა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორსა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს;

გ) ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტში ორი ლაბორატორიის შექმნის შესახებ.

ა) მოისმინეს: ქიმიის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორის გიორგი ჯიბუტის ინფორმაცია მეორე კორპუსში ჩატარებული რემონტის შემდეგ SMART|AtmoSim ლაბორატორიისათვის პირვანდელი ოთახის დაბრუნების შესახებ. მან აღნიშნა, რომ ლაბორატორია დაფუძნდა იულიხის კვლევითი ცენტრის FZJ IEK-8 ინსტიტუტსა და ზსმფ ფიზიკური და ანალიზური ქიმიის კათედრას შორის თანამშრომლობის საფუძველზე 2017 წლის სექტემბერში და იქ ჩატარებული კვლევების საფუძველზე მომზადდა საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომები, ასევე საკონფერენციო მოხსენებები. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული საკითხის განხილვა ასევე მოხდა ქიმიის დეპარტამენტის სხდომაზე, სადაც დეპარტამენტის წევრებმა მხარი დაუჭირეს SMART|AtmoSim ლაბორატორიის ფუნქციონირების აღდგენას პირვანდელ ოთახში (353, ახლანდელი 346, იხ. დანართი 2.1).

ფაკულტეტის დეკანმა ფაკულტეტის წევრებს აცნობა, რომ SMART|AtmoSim ლაბორატორიის დაარსების პროცესში მოხდა ფაკულტეტის ინტერესებისა და აზრის უგულებელყოფა, ლაბორატორია არ არის ფაკულტეტის სტრუქტურაში და ლაბორატორიისთვის დაიკავეს სასწავლო აუდიტორია. როგორც დეკანმა აღნიშნა, მას ხელი არ მოუწერია ლაბორატორიისათვის რომელიმე ოთახის გამოყოფაზე და ოთახის გამოყოფა ფაკულტეტის გარეშე მოხდა. მეორე კორპუსში ჩატარებული რემონტის შემდეგ აღნიშნულ ოთახში აუდიტორია აღდგა. გარდა ამისა, როგორც დეკანმა აღნიშნა, დაუდევრობის გამო ლაბორატორიას დაედო ვალი 180 000 ლარი.

აზრი გამოთქვეს: ფაკულტეტის საბჭოს წევრებმა, პროფესორებმა ლ.მაჭავარიანმა, გ.ღვედაშვილმა. მან გ.ჯიბუტთან ერთად გაიხსენა აღნიშნული თანამშრომლობის ხელშეკრულების დეტალები. როგორც გაირკვა, თანამშრომლობის ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც ლაბორატორია შეიქმნა, გაუვიდა ვადა. ხელშეკრულების განახლებაზე ზრუნვა დაგვიანებით დაიწყეს, რამაც გამოიწვია იულიხის კვლევითი ცენტრიდან ლაბორატორიისათვის გამოგზავნილი აპარატურის საბაჟოზე დაყოვნება და უნივერსიტეტისათვის ფულადი ჯარიმის დაკისრება. გარდა ამისა, გეოგრაფიის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ოთახი მათთან ახლოსაა, ძირითადად გამოკეტილია და მცირე გაბარიტის აპარატურის განსათავსებელად შეუფერებლად დიდია. მიზანშეწონილი იქნება აღნიშნული ოთახის სასწავლო აუდიტორიად გამოყენება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

1. ქიმიის დეპარტამენტის გადაწყვეტილება SMART|AtmoSim ლაბორატორიის ფუნქციონირების აღდგენის თაობაზე 353 (ახლანდელი 346) ოთახში.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 5, წინააღმდეგი - 10, დანარჩენმა თავი შეიკავა.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხს, რომ #346 ოთახის გამოყენება მოხდეს სასწავლო პროცესისათვის, აუდიტორიად.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 14, წინააღმდეგი - 3, დანარჩენმა თავი შეიკავა.

დაადგინეს: 1. უარი ეთქვას ქიმიის დეპარტამენტის შუამდგომლობას SMART|AtmoSim ლაბორატორიის ფუნქციონირების აღდგენის თაობაზე 353 (ახლანდელი 346) ოთახში;
2. #346 ოთახის გამოყენება მოხდეს სასწავლო პროცესისათვის, აუდიტორიად.

ბ) მოისმინეს: ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრების წინაშე წამოჭრა საკითხი, რომ ფაკულტეტის პროფილის სამეცნიერო და/ან სასწავლო დაწესებულებებთან საუნივერსიტეტო ხელშეკრულებების გაფორმება ან გაგრძელება შეთანხმებული უნდა იყოს ფაკულტეტთან. იგი მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ ფაკულტეტის საბჭომ უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელისადმი მიმართვის ფორმით მიიღოს გადაწყვეტილება ამ საკითხის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: აღნიშნულ საკითხზე იმსჯელეს ფაკულტეტის საბჭოს წევრებმა. მათ აუცილებლად მიაჩნიათ, რომ მსგავს ხელშეკრულებებზე მოლაპარაკების პროცესში აუცილებლად ჩართული უნდა იყოს ფაკულტეტის დეკანი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული მიმართვის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს მიმართვა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელისადმი შემდეგი ფორმით:

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო თვლის, რომ ფაკულტეტის პროფილის სამეცნიერო და/ან სასწავლო დაწესებულებებთან საუნივერსიტეტო ხელშეკრულებების გაფორმება ან გაგრძელება შეთანხმებული უნდა იყოს ფაკულტეტთან, ამავე დროს აუცილებლად მივიჩნევთ, რომ ხელშეკრულებაზე მოლაპარაკების პროცესში ჩართული იყოს ფაკულტეტის დეკანი.

გ) მოისმინეს: ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის ინფორმაცია ფიზიკის დეპარტამენტში ორი ლაბორატორიის - თანამედროვე ფიზიკური ექსპერიმენტის მეთოდებისა და მოდელირების სასწავლო ლაბორატორიების შექმნის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ნ.შათაშვილმა. მან აღნიშნა, რომ ლაბორატორიები განთავსებული იქნება მათ ყოფილ ოთახებში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტში ზემოხსენებული ორი ლაბორატორიის შექმნის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: საკითხი დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტში შეიქმნას:

- თანამედროვე ფიზიკური ექსპერიმენტის მეთოდების ლაბორატორია;
- მოდელირების სასწავლო ლაბორატორია.

შესაბამისად შევიდეს დამატება ფაკულტეტის დებულების 36-ე მუხლის მე-3 პუნქტში და დაემატოს ქვეპუნქტები:

ს) თანამედროვე ფიზიკური ექსპერიმენტის მეთოდების ლაბორატორია;

ტ) მოდელირების სასწავლო ლაბორატორია.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,

ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,

ასოცირებული პროფესორი თინათინ დავითაშვილი